№ 167

პარასკევი, 6 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 167

პარასკევი, 6 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაგარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ტფილის. საჯარო ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 8 აგვისტოს

## მგზავრთა საყურადღებოდ

ახლად დაარსებულ იქმნა ქართველ მგზავრთათვის

ს ა ს ტ უ მ რ ო

„ა ბ ა შ ა"

ტფილისის მეორე მხრის მალაკნის ქუჩაზედ.

ეს სასტუმრო ძალიან კარგსა და მარჯვე ადგილას არის: ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად; სწორედ კარებზედ უვლის ავჭალის კონკა.

ოთახები საუცხოვოდ არის მორთული და მოწყობილი.

**ფასი მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:**

დღეში **60** კაპეიკიდგან **1** მან. **50** კაპეიკამდე. თვეობით უფრო იაფია.

(10—97—7) დავშთები მარად პატივის მცემელი ნიკო თოფურია.

**ტფილისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მომავალს 1899—1900 სამოსწავლო წელს განმეორებითი ეგზამენები და დამატებითი ეგზამენები დანიშნულია 17 და 18 **აგვისტოსათვის, ხოლო იმათი გამოცდა, ვინც სასწავლებელში აპირობს შესვლას, მოხდება** 19, 20 **და** 21 **აგვისტოს.** (5—წ.—2)

## გორის ანასტასიის საქალებო პროგიმნაზიაში

დანიშნულია: განმეორებითი ეგზამენები 27 და 28 აგვისტოს; მისაღები გამოცდა—იმავე დღეებში და 31 აგვისტოს; პარაკლისის გარდახდა და გაკვეთილების დაწყება—1-ლ სექტემბერს. მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებენ ბავშვებს 7 წლიდგან, რომელთაც სრულიად არ იციან რუსული ენა და თითქმის მშობლიურ ენაზედ წერა-კითხვაც-კი. (3—უ.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი.

გადაყვანილ იქმნენ, ერთი მეორის ადგილზედ, თიანეთის მაზრის, რაჭის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, პორუჩ. თავ. დადეშქელიანი და ქუთაისის მაზრის უფროსი კოლეჟსკი სოვ. პლეტნევი.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 5 აგვისტოს, ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების მეორმოცე დღეს სიონის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა მისის სულის მოსახსენებლად წირვა-პანაშვიდი.

*** როგორც ისმის, კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინი ჩამოვა ტფილისში 25 აგვისტოს.

*** ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი დღეს, 6 აგვისტოს, ტფილისიდგან ხევსურეთსა და კახეთში გაემგზავრება.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი დ. ს. ს. ლ. პ. მასტიცკი დაბრუნდება ტფილისს ამ თვის გასულს და მოსვლისთანავე შეუდგება თავისის თანამდებობის აღსრულებას.

*** ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი დაბრუნდება საზღვარ-გარეთიდგან 25 აგვისტოს.

*** იმ განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა გაჰგზავნა გორის მაზრაში, ამ ჟამად უკვე დაუმთავრებია იმ მემამულე თავად-აზნაურთა გაჭირვებულ მდგომარეობის გამორკვევა, რომელნიც ამ ზაფხულში სეტყვისაგან დაზარალდნენ. მოხსენება ამ საგნის შესახებ წარედგინა ბანკის გამგეობას.

*** კავკასიის მომავალი სამეურნეო-სამოსწავლო-სამეცნიერო გამოფენა შეიცავს შემდეგ განყოფილებათ: 1) საერო და საქალაქო სასწავლებლებისას; 2) საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლებისას; 3) სპეციალურ სასწავლებლებისას; 4) სამეურნეო სადგურებისა და საცდელ დაწესებულებისას; 5) სამეურნეო საზოგადოებათა და მუზეუმისას; 6) სამოსწავლო ნივთებისა და სახელმძღვანელოებისას, და 7) სამეცნიერო კოლექციებისა და მწერლობისას. გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ კერძო კაცებსაც. გამოფენაზედ შეიძლება წარდგენილ იქმნას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა სამეურნეო ნაწარმოებიც. ჯილდოებად დანიშნულია: ა) საპატიო დიპლომები, ბ) მედალები: ოქროსი—დიდი და პატარა, ბრინჯაოსი—დიდი და პატარა და გ) ქების ფურცელი. გამოფენა გაიმართება 1899 წლის 1-ლ ოქტომბრიდგან და დაიკეტება 15 ოქტომბერს.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით, ქ. ფოთის პოლიცმეისტრად დანიშნულია სენაკის

## ფელეტონი

### ტრაგიკული ღამე.

ისტორიული მოთხრობა

**ერნესტო დოდესი.**

(შემდეგი *)

ქალს პასუხისთვის აღარ მოუცდია, გავიდა და გაიკეტა კარები. სენ-ფრემონმა აშკარად გაიგონა გასაღების ჩხაკუნი. ოთახში ბნელოდა. მან სიფთხილით გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი, ეშინოდა უცაბედად არაფრისთვის წამოედო ფეხი და რა იგრძნო ხელში სავარძლის ზურგი, სიამოვნებით გასწორდა, მოაბრუნა სახქაროდ და შიგ ჩაჯდა. ძლივს არ ეღირსა თავისუფლად ამოსუნთქვა! სიამოვნებით გაიზმორა, გადაწვა შიგ და მიეცა განცხრომას. მიათვალ-მოათვალიერა ირგვლივ. სცდილობდა გაერჩია რამ, მაგრამ ვერას გახდარა; ისე ბნელოდა ოთახში, რომ თვალთან მიტანილს თითსაც კი ვერ გაარჩევდა ადამიანი. ბევრს ეცადა შეეტყო, სად იმყოფებოდა, მაგრამ ამაოდ: ყოველმა ცდამ ფუჭად ჩაუარა. ამ წვალებაში იყო, რომ უცებ მთვარემ შემოაშუქა, რომელსაც თითქოს განგებ შემოსცლოდნენ ღრუბლები, და ცოტაოდნად გაანათა იქაურობა. ნაზმა მთვარის შუქმა რაღაცა საოცნებო ბეჭედი დაასვა იქაურობას; ოქროს ფრად ეფინებოდა მისი სხივები ირგვლივ საგნებს და უნებურად საოცნებოდ იტაცებდა მაყურებლის გულს. იქამდის თვალწარმტაცი იყო ეს სურათი, იდუმალებით სავსე, რომ მოხიბლულს სენ-ფრემონს, რომელიც თითქმის მეათედ ათვალიერებდა ოთახის საუცხოვო მორთულობას, ვერ გარდაეწყვიტა, ცხადლივ ელანდებოდა ყველა ეს, თუ მარტო მოჩვენება იყო.

ოთახის სიღრმეში იყო საუცხოვო თალი, რომელიც ჰფარავდა დიდს, მდიდრულად მორთულს, სარეცელს. მოჩუქურთმებულს კედლებზედ დიდრონი სურათები ეკიდა; იქავ მოხდენილი ტუალეტი *) იდგა, რომელსაც ზედ გამოქანდაკებული პსიხეის **) ქანდაკება საუცხოვოდ ამშვენებდა. ქალის სამწერლო, მშვენივრად მოჩუქურთმებულ, სტოლს, წიგნის შკაფს, ქნარს და ბუხართან მიდგმულ მოხდენილს ვაზებში სხვა-და-სხვა სურნელოვანს ყვავილებს ხომ აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. სენ-ფრემონი სიამოვნებით ათვალიერებდა ოთახს, სადაც ყოველს ნაბიჯზედ ქალის საუცხოვო გემოვნება და მზრუნველი ხელი ეტყობოდა. საოცარი და ამასთანავე სასიამოვნო წესი სუფევდა ირგვლივ და ალბერინათვის არ იყო ძნელი მიხვედრილიყო, რომ კლარის სხვა რომ ვეღარა მოეგონებინა-რა, აქეთ და თავისს ოთახში დაემალა იგი. ამ თვარიელებაში იყო, რომ მოულოდნელად გადატრიალდა კარებში გასაღები და წამს უკან კლარი გამოჩნდა კარებში. იმას თან მოჰქონდა ტილოში გახვეული ერთი ბოთლი ღვინო, პური და ხილი.

— ძლივს მოვახერხე ყველა ამის შეუმჩნევლად წამოღება, უთხრა ქალმა და თან სტოლზედ საჭმელი დაალაგა.

— აქ სად შემომიყვანეთ?—ჰკითხა გაუბედავად ალბერმა.

— ჩემს ოთახში,—მიუგო ქალმა. ჟავერენმა რომ აქ მოგვასწროს, შეუბრალებლად ჩაგვხოცს ორივეს. მაგრამ იმედია, რომ ის ამას არ იზამს. ის აქ არას დროს არ შემოდის და კიდეც რომ მოუაროს ხუშტურმა და მოინებოს აქ შემოსვლა, ისე დაგმალავთ, რომ ეშმაკმაც ვერ გიპოვოთ.

კლარიმ აანთო სანთელი. მკრთალმა სანთლის შუქმა ოდნავ გაანათა იქაურობა. შეხედეს ერთმანეთს და შეკრთნენ. გაფითრებულ სახეზედ აშკარად დასტყობოდათ მღელვარება და ამ წამებში, ერთსა და იმავე დროს, სიამოვნებასაცა ჰგრძნობდნენ და ტანჯვასაც.

კლარი პირველი მოვიდა გონს.

— მოგიყვანეთ აქ, მიუბრუნდა ის სენ-ფრემონსა, მხოლოდ იმისთვის, რომ მარტო აქ შემიძლიან დაგმალოთ. გითმობთ ამ ოთახს რამდენისამე საათით. აზრადაც არავის მოუვა თქვენი აქ მოძებნა.

— მერე თქვენ, კლარი? თქვენ სადღა გაათევთ ღამეს?

— მახლობელს ოთახში, სადაც გათენებამდის გიდარაჯებთ. გათენებისას კი განგათავისუფლებთ და, რითაც-კი შემეძლება, ხელს მოგიმართავთ. მანამდის საკმაოდ დაისვენებთ და დილით, იმედია, მშვიდობით ჩააღწევთ სენ-ვალერიში.

— კლარი, ღმერთს ალბად ისე უნებებია, რომ თქვენი მოვალე შევიქმნე სიკვდილამდის. ოო, ძვირფასო კლარი, მითხარით, მითხარით ღვთის გულისათვის, რითი შემიძლიან დაგიმტკიცოთ ჩემი მადლობა და ერთგულება?

— რითი? დამპირდით, რომ ყოველთვის მადლობით მოიგონებთ ხოლმე ჩემს სახელს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! და რა გამოვა მერე მანდედან?—წამოიკვნესა თითქმის ალბერმა.

— რად ეძლევით სასოწარკვეთილებას?—ანუგეშა კლარიმ. ვინ იცის, თუ აქამდის არ გვწყალობდა ბედი, იქნება მერმისმა მაინც გაგვიღიმოს.

— მაშ კიდევ გვყვარებივართ?

— მიყვარხართ და ყოველთვის მეყვარებით!

— კლარი! კლარი!

მხოლოდ ეს-ღა მოახერხა ალბერმა. ქალის სიტყვებმა სულ დაუბნია გონება. წამოვარდა გიჟსავით და ხელებ წინ გაწვდენილი, აღგზნებულის თვალებით გაჰქანდა, მაგრამ ორი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, რომ თავი ვეღარ შეიკავა, დაბარბაცდა მთვრალსავით და თვალთ დაუბნელდა. გულმა საშინელის ძალით დაუწყო ცემა, თითქოს ბუდიდგან გადმოვარდნას ლამობდა. მღელვარებას იქამდის დაემორჩილებინა ალბერი, რომ სიტყვის წარმოთქმის ღონე აღარა ჰქონდა და ღონე-მიხდილი, მუხლებ-მოკვეთილი სავარძელში დაეშვა. სწორედ ამ დროს მოისმა ზარების წკარუნი, ცხენების გაცხარებული თქარა თქური და წამს შემდეგ ციხე-დარბაზის წინ ეტლი გაჩერდა. ამ ხმაურობამ გამოიყვანა ორივენი თავ-დავიწყებიდგან.

— ჟავერენი მოვიდა!—წაიჩურჩულა კლარიმ.

მან ერთხელ კიდევ გააფრთხილა ალბერი, მთრთოლვარე ხელით ჩააქრო სანთელი, გაიჰრა გარეთ და კარები გაიკეტა.

II

ერთს საათსაც არ გაუვლია ამის

*) იხ. „ივერია" № 166.

*) ტუალეტი—სტოლი სარკით და პატარა უჯრებით, სადაც სხვა და სხვა ფხვნილებს ინახავენ, როგორც მაგ. პირზედ დასაყრელს, კბილების საწმენდსა და სხვ.

**) პსიხეა—ბერძნულს მითოლოგიაში ლამაზი ქალია, რომელიც შეუყვარდა ამურს და რომელსაც იუპიტერმა უკვდავობა მიანიჭა და თავისთან ოლიმპის მთაზედ წაიყვანა.

მაზრის უფროსის თანაშემწე თავაზაშიძე, ხოლო იმის ადგილზედ გადაყვანილია რაჭის მაზრის უფროსის თანაშემწე ჯალალოვი.

*** ეს სამი დღეა, ტფილისის გუბერნატორის სადგომში, ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსთ ბჭობა აქვთ მაზრებს შორის საერო დარაჯთა განაწილების და მაზრებში სადარაჯოთა დაარსების შესახებ.

*** ამ ჟამად ვარძიის მონასტერში იმყოფება მხატვარი ბ-ნი გაბაშვილი, რომელიც ჰხატავს ზოგიერთ ღირს შესანიშნავ ალაგებს. მასვე აღმოუჩენია, როგორც თითონ გადმოგვცა, თამარ დედოფლის სურათი შესანიშნავ თმოგვის ციხის ეკლესიაში. ბ-ნი გაბაშვილი ქ. ახალქალაქშიაც აპირებს წასვლას იქაური ციხის და მიდამოების დასათვალიერებლად.

*** როგორც საქართველოს დანარჩენი ადგილები, ჯავახეთიც ძალიან შეაწუხა უწვიმობამ. აგერ თითქმის მეორე თვე მოდის და ნამი არ ჩამოვარდნილა. ქერებს თუმცა მაგრე რიგად ვერა დააკლორა, მაგრამ დიკა-კი ძალიან გააფუჭა, ისე რომ ბევრს სათესლეც კი არ მოუვა. კვლავ აქეთ ქერები აგვისტოს ნახევარში იკრება ხოლმე, ეხლა კი ივლისის ნახევარში დაიწყეს თიბვა. საქონლის საკვებიც წელს აქეთ ძალიან ნაკლები იქნება, რადგან უწვიმობამ ჰინახულს ტანი არ დაასრულებინა. აქაური მცხოვრებნი-კი საქონლის მოშენებას ძალიან მისდევენ. ჰინახულის ფასმა ეხლავე აიწია.

*** [illegible] საქონლის მატარებლის დამტვრევის დროს 2 აგვისტოს დაშავებულან კონდუქტორები: აზნ. ასლან საყვარელიძე, გლეხები: კონსტანტინე სახუაძე, სიმონ სვანიძე, ირაკლი გაჩეჩილაძე და ივანე ბერძენიშვილი.

*** აბასთუმანის კომენდანტს გენ. მაიორს რილსკის შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დ. აბასთუმანში შემოღებულ იქმნას შემოკლებული საქალაქო დებულება დაბის გასაუმჯობესებლად და უკეთ მოსაწყობად.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების-მიერ მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ წელს სეტყვასა და ნიაღვრებს გორის მაზრაში განსაკუთრებით დაუზარალებია ორმოცდაშვიდი სოფელი, ორს საზოგადოებაში, სურამისა და მეჯვრის-ხევისაში. ამ სოფლების უმეტეს ნაწილში მთლად—გაფუჭებულა ყველაფერი: პური, ვენახები, ბოსტნები და ყოველივე ნათესი; მცხოვრებნი უკიდურესს მდგომარეობაში თურმე იყოფებიან და ძლიერ ჰსაჭიროებენ დახმარებას. ასეთის განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ლაპარაკი აღიძრა დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. ამსაგანს განიხილავს საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

*** კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდო ტფილისის ფარმაცევტთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ და მათის განათლების გასაძლიერებელ ზომების საქმის გამორკვევა.

*** ფინანსთა მინისტრმა გამოუცხადა სენატს განკარგულება რუსეთ-კავკასიის სამთო საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ.

*** როგორც ვუწყით, სახალხო კითხვების კომისიამ გარდასწყვიტა გაჰმართოს საზაფხულოდ სახალხო წარმოდგენები ნაძალადევში. წარმოდგენების გამართვა დაგვიანდა იმის გამო, რომ სათეატრო დარბაზს შეკეთება და შემდეგ ტეხნიკურის მხრით შემოწმება დასჭირდა. ახლა ეს შემოწმება უკვე დაუმთავრებიათ, ასე რომ წარმოდგენები მალე დაიწყება. თავდაპირველად განზრახვა აქვთ ქართული სახალხო წარმოდგენა გაჰმართონ კვირას, 8 აგვისტოს. ითამაშებენ ა. ცაგარლის კომედიას „ხანუმას“.

*** 10 აგვისტოს განზრახულია სოფ. მაჩხაანის სასოფლო ქსენონის კურთხევა.

*** რუსეთის ელექტრონის საზოგადოებამ „უნიონმა“, რომელიც პეტერბურგში იმყოფება, შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, გავიცანით ტფილისის ცხენის რკინის გზის წარმოების პირობები და 1-ლ ოქტომბრამდე გამოგიგზავნით განცხადებას ხსენებულ გზის კონცესიის შესახებაო.

*** განზრახვა აქვთ, რომ მიმოსვლა ბაქო-დარუბანდის რკინის გზაზედ გაჰმართონ 15 აგვისტოდგან.

*** როგორც მოხსენებული გვქონდა, ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, დამისახელეთ ის კაცი, რომელსაც დაფასების უწყებებში სიყალბე ჩაუდენიაო. ამ წინადადების გამო ქალაქის გამგეობამ მოუწოდა ხმოსან იურისტებს ამ საქმის განსახილველად გამგეობასთან ერთად, მაგრამ არც ერთი ხმოსანი, მიტკევიჩის გარდა, არ მიეკარა გამგეობას. ხმოსანმა მიტკევიჩმა-კი ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალაქის გამგეობა, ვიდრე ბრალმდებელს გაუგზავნიდა საქმეს, ვალდებული იყო თითონ გამოეძია ეს დანაშაულობა და არა სასამართლოში მხოლოდ ყალბის საბუთის ქაღალდები გაეგზავნაო. („კავკ.“).

*** 4 აგვისტოს, ამიერ-კავკ. რკ. გზის 115 ვერსზედ საქონლის მატარებლის გავლის დროს მემანქანემ შეჰნიშნა ლიანდაგის მახლობლად მჯდომი კაცი, მაგრამ რადგან მატარებელი ვერ გააჩერა და ამიტომ ჰფიქრობდა, ლიანდაგთან მჯდომ კაცს მატარებელი უთუოდ დააშავებდაო, განუცხადა ეს ამბავი სვირის სადგურის უფროსს, რომლის განკარგულებითაც ზემოხსენებულ ადგილზედ დაათვალიერეს გზა და ჰნახეს იქ მატარებლისაგან დაშავებული უგონოდ დაგდებული ტელეგრაფის მოხელე გრიგოლაშვილი. დაშავებული წაიყვანეს ყვირილის სადგურის ქსენონში, საიდგანაც შემდეგ ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. („ტფ. ფ.“)

*** როგორც „ტფ. ფ.“-ს შეუტყვია, ტფილისში განზრახვა აქვთ დააარსონ საზოგადოება, რომელსაც საგნად ექმნება ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ ქალებს გათხოვების დროს. ამ საზოგადოების წევრებად შეუძლიანთ შეიქმნენ მხოლოდ ის ახალგაზრდა ქალნი, რომელნიც ყოველ წლივ განსაზღვრულ გარდასახადს შეიტანენ და გათხოვების დროს საზოგადოებისაგან პრემიას მიიღებენ.

*** 4 აგვისტოს, სალამოს, სათადარიგო პორუჩიკს ლეოპოლდ ნიკოლოზის ძის ყარაევის სადგომიდგან, რომელიც იმყოფება ასათიანის ქუჩაზედ, ფეტერის სახლში, მოუპარავთ ღია ფანჯრიდგან ორი პალტო, ორი შალვარი და 11 მანეთი ფულად. ეჭვი არავისზედ არ არის განცხადებული. ქურდების აღმოსაჩენად ყოველივე ღონისძიებაა ნახმარი.

*** სამხედრო ინჟენერ-პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ბარბაშევსკიმ გამოუცხადა პოლიციას, რომ 4 აგვისტოს დილით, ჩემის სახლიდგან მოიპარეს ერთი საათი ოქროს ძეწკვით, ღირებული 200 მანეთად. ეჭვი-კი არავისზედ არ განუცხადებია. გამოძიება სწარმოებს.

*** დღეს, 5 აგვისტოს, დილის 5 საათზედ, საბანაო ადგილი, რომელიც იყო გამართული მდინარე მტკვარზედ, ვერის ხიდის ზემოდ, „წყლის განსაცდელისაგან დამხსნელ საზოგადოების“ მიერ, წამოდიდებულმა მდინარემ მოიტაცა და კუკიის ხიდს ახლო დაიჭირეს.

*** ტფილისის რკინის გზის სადგურის კონდუქტორის შვილი თევდორე კაშუბა, 10 წლისა, 4 აგვისტოს ავთიაქის ქუჩის ახლო მტკვრის პირას ბოთლის საცობებს ჰკრეფავდა და აგროვებდა, ამ დროს გაუფრთხილებლობით მტკვარში ჩავარდა და დაირჩო. მისი გვამი იპოვეს პოლიციის მე-9 ნაწილის ახლო.

## სკოლა სეირნობისა ანუ საბავშვო ექსკურსიატი

(Школа прогулокъ или дѣтскій экскурсіатъ).

საცაა გათავდება ზაფხული და მასწავლებელნი და მოსწავლენი შესვენებულის ძალით შეუდგებიან მძიმე საქმეს სწავლისას. ყველამ ვიცით, რა მძიმე და რთულიც არის სწავლის საქმე, მაგრამ ის-კი ყველამ არ ვიცით, რომ, როგორც სხვა ყველა საქმეში, აქაც ბევრი ისეთი ცვლილება შეიძლება შემოვიღოთ, რომელიც ერთი-ორად და სამად არა თუ გაუადვილებს მასწავლებელთ და მოსწავლეებს ამ საქმეს, არამედ გააორკეცებს კიდეც სწავლების ნაყოფს. ზოგიერთ ამ ცვლილების შესახებ ჩვენ დაწვრილებით გვაქვს ლაპარაკი ამ ორის თვის წინეთ გამოცემულს წიგნაკში „Новая постановка педагогическаго дѣла въ учебныхъ заведеніяхъ“. დღეს ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველ საზოგადოების ყურადღება ერთს ახალს და ჩვენის აზრით ფრიად საჭირო ცვლილების შემოღებაზედაც ჩვენის მოზარდის თაობის სწავლა-განათლების საქმეში. მე მოგახსენებთ ჩვენ-მიერ ეგრედ წოდებულ „სეირნობის სკოლების“ ანუ „საბავშვო ექსკურსიატების“ ყვე-

---

შემდეგ, რომ ციხე-დარბაზის დიდს სასადილოში კონვენტის წევრი კლემან ჟავერენი მოსჯდომოდა სტოლს თავისის ახალგაზრდა ცოლით და მადიანად შეექცეოდა ვახშამს. წინადღით სალამოზედ პარიჟიდგან წამოსულს არსად შეუსვენია, დიდიხანია, რაც სახლში არა ყოფილიყო და შინ მოსვლას ეშურებოდა. მგზავრობისაგან დაღალულ-დაქანცულმა, მთლად გამტვრიანებულმა, გადმოვიდა თუ არა ეტლიდგან, მაშინვე ვახშამი მოიკითხა. გზაში დაღალულს მადა საშინელის ძალით გახსნოდა და აუტანელს სიმშილს აგრძნობინებდა. შევიდა თუ არა სახლში, პირი არცკი დაუბანია, არც-კი გასუფთავებულა მტვრისაგან, მიუჯდა მაშინვე სუფრას და წუთს შემდეგ ხარბად ილუკმებოდა. სცდილობდა, რაც შეიძლბოდა მალე მოეკლა სიმშილი, რომ მერე მიწოლილიყო და დაღალულს ტკბილი ძილისთვის მიეცა თავი.

საშინელი, დაღალულობა, რომელიც ყოველს მოძრაობაში ეტყობოდა, გასვრილ-გამტვრიანებული ტანთ-საცმელი, აბურძგნული თმა, ერთი-ორად აუშნოებდა, ერთი-ორად ამახინჯებდა იმის ისედაც მკაცრსა და უსიამოვნო სახეს. დაბალი შუბლი, რომელიც მთლად ნაოჭებად ასხმოდა, მსუქანი და უშნო, გაიძვერული პირისახე, დიდრონი ბრიალა თვალები,—აშკარად გიმტკიცებდათ იმის კერპს, ძალმომრეობის მოყვარულს ხასიათს და გარყვნილს ესტეტიკას, მოკლებულს გემოვნებას.

საბრალო კლარი უჯდა გვერდით ქმარს, მაგრამ ლუკმა-კი ყელში ეჩხირებოდა. ყოველის ღონისძიებით სცდილობდა თავისი მღელვარება არ გამოეჩინა, თუმცა გულში მთელი ჯოჯოხეთი აღძვროდა და ის ფიქრი, თუ რითი ან როგორ უნდა ეშველა დამალულისათვის, ერთს წუთსაც არ აძლევდა მოსვენებას, გულს უწუხებდა.

ამ ხანად იმას ემტყუნა თავისს თავისათვის, თავისს გარდაწყვეტილებაზედ უარი ეთქვა და, ჩვეულებრივ ცივად მოპყრობის მაგივრად, მხიარულად დახვედროდა ქმარს, რომელსაც, გაკვირვებულს ამ არა ჩვეულებრივის მოვლენით, სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო.

ქალი დიდის ყურადღებით უსმენდა ქმარს, რომელიც იმისისავე თხოვნით უამბობდა სხვა და სხვა ახალს ამბავს. ქმარმა, სხვათა შორის, უამბო ისიც, რომ რამდენისამე დღის წინად ნიკეზის ქუჩაზედ მიდენილ პირველის კონსულისათვის ვიღაცა ბოროტ-გამზრახველთ მიეგდოდ ყუმბარა, რომელსაც ხალხის თქმამ „ჯოჯოხეთის მანქანა“ დაარქვა მეტ სახელად. ყუმბარა თუმცა აფეთქებულიყო, მაგრამ რაღაცა მანქანებით არა ევნო რა პირველ კონსულისათვის. ფუშეს *) პოლიციას, რომელიც დამნაშავეთ ძველს რესპუბლიკანელებში **) დაეძებდა, რომელნიც წყევლით და კრულვით იხსენიებდნენ ბონაპარტს, ვერაფერი ეპოვათ აქ, რადგან ეს შეთქმულება, რომელმაც საბედნიეროდ საწადელს ვერ მიაღწია, რამდენისამე გატაცებულის როიალისტის ***) ბრალი ყოფილიყო.

— იმათ დიდი ხანია დაეძებენ, განაგრძო ჟავერენმა: რამდენიმე მათგანი კიდეც შეიპყრეს და ეჭვს გარეშეა, არც სხვანი წაუვლენ ხელიდგან და ღირსეულად იქმნებიან დასჯილნი.

— მერე ყველას ვინაობა აქვთ კი გაგებული?

— როგორ არა, დაჭერილებმა მოგვცეს ყველა საჭირო ცნობები.

აქ კი კლარიმ ველარ გაჰბედა ეკითხა ქმრისათვის იმათი ვინაობა. ეშინოდა ალბერ სენ-ფრემონის ხსენებაზედ მღელვარება, რომელსაც აქამდის გაჭირვებით იმაგრებდა, არ გამოსჩენოდა და ამით არ გაეთქვა თავისი საიდუმლო. სცდილობდა მიებაძა ქმრისათვის და რაც შეიძლება მეტის სიძულილითა და ზიზღით მოეხსენებინა დამნაშავენი. ქმარს, გაკვირვებულს ცოლის ამ გვარის ქცევით, აზრად ვერ აეღო, თუ რას უნდა ემოქმედნა ცოლზედ, რომელსაც თავისი რწმენა, თავისი აზრები უკუ ეგდო და იმისის მიმართულებისათვის თანაეგრძნო.

— ძალიან მოხარული ვარ, ჩემო კარგო, რომ ბოლოს მაინც დააფასეთ და თანაუგრძნობთ იმ კაცს, რომელიც გაჭირვებაში გამოადგა თქვენს სამშობლოს. ყველა რომ თქვენსავით სამართლიანად სჯიდეს, მაშინ აღარაფრის შიში აღარ გვექნებოდა და იმ დაბრკოლებათ, რომელიც წინ გვეღობება ამ ჟამად, ადვილად მოვიშორებდით.

— დარწმუნებული ვარ, რომ ეგ აგრეც უნდა ყოფილიყო, მიუგო ქალმა, რომელიც სცდილობდა რაც შეიძლება ძალიან მოეგო ქმრის გული.

— თუ აგრეა, უთხრა ქმარმა: კარგი იქნებოდა სიტყვა საქმით დაგემტკიცათ.

— არ მესმის, მაგით რა გინდათ სთქვათ?

— ისა, რომ კარგი იქნებოდა, ეგ თქვენი თანაგრძნობა, რომელსაც აქ აცხადებთ, პირადად გამოგეთქვათ ბონაპარტისთვის.

— როგორ? წამოიძახა ცოლმა: თქვენის აზრით, პარიჟში უნდა წამოვიდე მაგისთვის?

— მერე რა არის? პირველი და უკანასკნელი თქვენ ხომ არ იქნებით. ათობით, ოცობით მიდიან იმასთან ქალები და თავისს პატივის-ცემას უცხადებენ. თქვენც რომ დამთანხმდეთ ამას, ძალიან კარგი იქნება, რადგან იმ ნდობას, რომელსაც ის მიწევს, ამ თქვენის საქციელით უფრო განამტკიცებდით, უფრო მეტს გავლენას მომაპოვებინებდით. ის ძალიან გულკეთილია და მგრძნობიარეც. ქ-ნი ბონაპარტისა ხომ შეუდარებელია, მომხიბლავი. გევედრებით, კლარი, ნუ მეტყვით უარს, აღმისრულეთ თხოვნა და გაძლევთ სიტყვას, რომ არ ინანებთ. ბონაპარტი მერმისს ეკუთვნის, მისი მზე ეხლა ამოდის, ეხლა ჰბრწყინდება; მთელი საფრანგეთი ჯერ ეხლა იმის ფერხთაა და ის დღეც არ არის შორს, როდესაც გამეფდება და იმ მეგობართ, რომელთაც გაჭირების დროს არ უმტყუნეს, მხარი დაუჭირეს, შესაფერად დააჯილდოვებს. დამპირდით, რომ როცა პარიჟში წასვლა მომიხდება, თქვენც არ მეტყვით უარს და წამომყვებით.

ა. წინამძღვრიშვილი.

(შემდეგი იქნება).

---

*) ფუშე პოლიციის მინისტრი იყო იმ ხანად.

**) რესპუბლიკანელი — თანამგრძნობი რესპუბლიკანურ წეს-წყობილებისა, თავისუფალი მოქალაქე რესპუბლიკისა.

***) როიალისტი,—მეფის გვარეულობის მომხრე კერძოდ-კი ბურბონების გვარეულობის მომხრე საფრანგეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლგან დაარსება-გავრცელების შესახებ, თუ გვსურს რაოდენადმე მაინც ნამდვილ ფსიხოლოგიურ საფუძველზე დავამყაროთ სწავლა-განათლების საქმე სკოლებში. რადგანაც ჩვენმა „სეირნობის სკოლებმა“ ანუ „საბავშო ეკსკურსიატებმა“ ეგრედწოდებული ფრებელის საბავშო ბაღების მაგიერობა უნდა გასწიოს, ანუ დაიჭირონ მათი ადგილი, ამიტომ ვსთქვათ ჯერ ორიოდე სიტყვა ამ ბაღების შესახებ.

1840 წელს ცნობილის პედაგოგის პესტალოცის ერთმა მოწაფეთაგანმა—ფრებელმა, რომელიც უკმაყოფილო იყო მაშინდელის ნემეცურის სკოლების ფორმალიზმით, დააარსა თავისი პირველი, ეგრედ წოდებული, „საბავშვო ბაღი“ ბლანკენბურგში (ტიურინგში). მას მალე მრავალი მიმბაძავი აღმოუჩნდა და „საბავშო ბაღები“ გავრცელდნენ გერმანიის საზღვარ-გარეთაც. ფრებელის ბაღების ჩვეულებრივ სამეცადინო საგანს შეადგენდნენ: საბავშო თამაშობანი, სიმღერები, ვარჯიშობანი ლაპარაკში, მხატვრობა, თვალ-საჩინო სწავლა და, დასასრულ, ხელის ვარჯიშობანი ანუ ხელსაქმე, როგორც, მაგ., თიხიდამ სხვადასხვა სახეთა და საგანთა გამოყვანა და სხვ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, „საბავშო ბაღებიც“ მალე იმ გვარსავე მექანიკურ დაწესებულებად გადიქცა, როგორიც მაშინდელი ნემეცური სკოლა, რომლის ფორმალიზმით ასე უკმაყოფილო იყო ფრებელი.

უმთავრესი ნაკლი საბავშო ბაღებისა იყო და არის: 1) მრავალ-საგნობა; 2) კარ-ჩაკეტილობა; 3) ბავშთა მოძრაობისა და თავისუფლების შეზღუდვა; 4) სიძნელე მისის წარმოებისა, რის გამოც თვით საგანგებოდ ამისათვის მომზადებულ მასწავლებელ ქალთაც-კი უძნელდებათ საბავშო ბაღების რაოდენადმე მაინც ხეირიანად მართვა; 5) ძალად გართობა ბავშვებისა იმ საგნებსა და საქმეში, რომელიც ზოგიერთთა ხასიათისათვის სრულიად უცხო და შეუფერებელია და ამიტომ დიდად მოსაწყენი, მათის ჯანმრთელობის მომშლელი და სულიერის განვითარების დიდად დამხშველი და სხვ.

ვგონებ, საქმის ამგვარად მომართვას უნდა მიეწეროს ის არა სასიამოვნო ამბავი, რომ „საბავშო ბაღებმა“ ვერ მოიპოვეს ჩვენში და ბევრგან სხვაგანაც მკვიდრი ნიადაგი, ვერ გახდნენ გონიერის აღზრდის აუცილებელ იარაღად, რასაც ასეთის გულ-დასმით სცდილობდა და ფიქრობდა მათი გამომგონი ფრებელი.

ჩამოთვლილ ნაკლულევანებათა შორის, ფრებელის საბავშვო ბაღების უმთავრესს ნაკლულევანებად ჩვენ მიგვაჩნია მათი კარ ჩაკეტილობა და შინ ჯდომა-მეცადინეობა, ბავშვთა მოძრაობისა და თავისუფლების შეზღუდვა, ბავშვთა ფიზიკურისა და სულიერის განვითარებისათვის ვარჯიშობათა მექანიკურად მოწყობა, წინააღმდეგ ბავშის ცოცხალის ბუნებისა, რომელიც თხოულობს გამუდმებულს მოძრაობას, თავისუფლად შეგნებას ქვეყნისას და ცხოვრებისას და მით ბავშვის ფიზიკურად და სულიერად ყოველ-მხრივ განვითარებას.

თუ მივიღებთ მხედველობაში ბავშთა ხასიათის ასეთ თვისებათ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი „სეირნობის სკოლები“ ანუ „საბავშო ეკსკურსიატები“-ზედ გამოჭრილნი იქნებიან ბავშთა ბუნებისა და ნიჭთა თავისუფლად განვითარებისათვის. ავხსნათ ჩვენის აზრის სიმართლე და ჭეშმარიტება, პედაგოგიისა და ფსიხოლოგიის საფუძვლებით.

უწყებულია, რომ ადამიანის გონებითს გახსნა-განვითარებას შეადგენს წარმოდგენანი, ცნებანი და მათი კომბინაციები; ხოლო, წარმოდგენანი და ცნებანი წარმოსდგებიან იმ შთაბეჭდილებიდგან, რომლებსაც ახდენს ჩვენზედ გარეშე ბუნება. დაბადებისას ბავშვს არა აქვს არავითარი წარმოდგენა და ცნება და მხოლოდ ნელ-ნელა და ცოტ-ცოტა იძენს მათ, ასე რომ 4 წლის ბავშვი იცნობს უკვე მრავალ საგანს გარემო ქვეყნისას, იცის მათი სახელები, ჰფიქრობს და ლაპარაკობს მათზედ. მან გაიცნო ყველა ეს საგანი და შეადგინა მათზე წარმოდგენა და ცნება შეთვისების გზით, ე. ი. საგნები ახდენდნენ მრავალმხრივ მის გარეგან გრძნობებზე შთაბეჭდილებას, ამ შთაბეჭდილებას იგი ითვისებდა და მასში რჩებოდა საგნების სახენი—მათზე წარმოდგენანი. როდესაც რომელსამე საგანში, მრავალგზით ნახვის შემდეგ, შენიშნავდა ერთნაირ თვისებებს, არდგენდა ცნებებსა, ხოლო თვით წარმოდგენებისა და ცნებების ურთიერთთან ღადარებით და შეკავშირებით—მსჯელობას და მსჯელობათაგან—დასკვნას.

გამოდის, რომ გონებითის განვითარების საფუძველი ყოფილა შენათვისებანი (восприятія), რადგანაც მხოლოდ მას შემდეგ იწყება ადამიანში მოქმედება არა მარტო გონებითი, არამედ ყოველი ჩვენი სულიერი ძალისა, ე. ი. გამოხატულების ნიჭიც (воображеніе) არდგენს სახეებს (образы) იმავ შეთვისებიდგან და ხსოვნაც უკეთ იხსომებს მხოლოდ იმას, რაც შეთვისებული გვაქვს გარეგანის ხუთის გრძნობის შემწეობით. ეს შენათვისებნი არის ორგვარი: გარეგანი, გარეგან საგნებისაგან და შინაგანი, შინაგან ძალებისაგან წარმომდგარი. ორივე ესენი აძლევენ ბავშს მასალას გონებით მოქმედებისათვის და მათის წყალობით მდიდრდება იგი წარმოდგენებითა და ცნებებით. თუ ადამიანი მოკლებულია წარმოდგენებს და ცნებებს გარემო ბუნების შესახებ, რომელთ შემწეობითაც მას შეუძლიან გამოხატულების ნიჭით შეამუშაოს წარმოდგენები არ ნახულ საგნებზედაც (მაგ., ნახულის ტბების და ვრცელის ველების შემწეობით შეიმუშაოს წარმოდგენა ზღვის შესახებ), მაშინ თვით შრომა და მეცადინეობა ამ წარმოდგენების შესამუშავებლად ტყუილი და ამაო იქნება, რადგანაც არაფრისაგან შეუძლებელია შექმნა რისამე წარმოდგენა და თუ შექმნი—უეჭველად ყალბი იქნება. ბრმას, მაგ., ვერ შეუქმნით წარმოდგენას წითელისა ანუ სხვა რომელისამე ფერის შესახებ და ყრუ-მუნჯსა—ცნებას ხმის ამა თუ იმ კილოს შესახებ და სხვა, რადგანაც ესენი სრულიად მოკლებულნი არიან რისამე შენათვისებს ამ საგნებზედ.

ცხადი და ეჭვს გარეშეა, რომ ჭეშმარიტი განათლება, ჭეშმარიტი ცოდნა და სწავლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ უკვე მიღებული და შეთვისებული გვაქვს პირდაპირის დაკვირვებით ამ ცოდნის ელემენტები—შთაბეჭდილებანი, შენათვისებნი, წარმოდგენანი, ცნებანი, მსჯელობანი და დასკვნანი.

ივანე როსტომაშვილი

(დასასრული იქნება)

# რუსეთი

რუსეთის მეფუტკრეობის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს უწმ. სინოდის წინაშე იმის შესახებ, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში სავალდებულოდ გაჰხადონ მეფუტკრეობის სწავლება.

— როგორც ვუწყით, 1 სექტემბრიდგან სწავლა დაიწყება ახლად დაარსებულ ეკატერინოსლავის უმაღლესს სამთო სასწავლებელში. იმათ, ვისაც ამ სასწავლებელში შესვლა ჰსურთ, თხოვნები 20 აგვისტომდე უნდა გაგზავნონ. საკონკურსო ეგზამენები აგვისტოს გასულს მოხდება.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ თუ რომელიმე პირი ჩაწერილია საარჩევანო სიაში გილდიის მიხედვით, მის უძრავ ქონებაზედ დარჩენილი ხარჯი ვერ დააბრკოლებს ქალაქის არჩევანებში მონაწილეობის მიღებასაო.

— პეტერბურგის რამდენსამე მექარხნეს ლაპარაკი აღუძრავთ მუშათა შორის განათლების გამავრცელებელ საზოგადოების დაარსების შესახებ. განზრახულ წესდების თანახმად, საზოგადოებას ექმნება საკუთარი დარბაზი კრებებისა, საუბრებისა, ლექციებისა და კითხვების გასამართავად, და აგრეთვე წიგნთ-საცავ სამკითხველო. საზოგადოების წევრად შეუძლია ჩაეწეროს ყველა ხელოსანსა და ქარხნის მუშას, რომელნიც კი დაემორჩილებიან წესდებას და ყოველ თვეში 30 კაპ. გარდაიხდიან. საზოგადოებას ექმნება აგრეთვე საკუთარი შემნახველ-გამსესხებელი კასა. („ნოვ.“).

— განზრახვა აქვთ შესწორონ ერობის დებულებაში საერო კრებებისათვის გლეხთა ხმოსნებად არჩევის წეს-რიგი შემდეგის სახით: თვითოეულ თემს („ვოლოსტს“) უნდა უფლება მიეცეს იყოლიოს თვისი წარმომადგენელი კრებაზედ და აირჩიოს ამ აზრით ორი კაცი: ერთი ხმოსანი და ერთიც მისი კანდიდატი.

# უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის ერთმა დელეგატმა გააგის სამშვიდობო კონფერენციაზე, მიუნხენის პროფესორმა შტენგელმა, სანამ დელეგატად იქნებოდა დანიშნული, წიგნაკი დაჰბეჭდა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ ომის მოსპობა შეუძლებელიაო და სამშვიდობო კონფერენციებს ოცნების ნაყოფადა სთვლის. ამ წიგნაკის გამოსვლის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველანი გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ შტენგელი გერმანიის მთავრობის მიერ სამშვიდობო კონფერენციის დელეგატად იქმნა დასახელებული. მაგრამ გერმანიის ოფიციოზურმა გაზეთებმა იმით გაამართლეს თავიანთ მთავრობის საქციელი, რომ უფროს დელეგატად გერმანიის მხრით გრაფი მიუნსტერის დანიშნულია, ხოლო სხვები თანაშემწეებად ეყოლებიან მას, რომელთაც ოფიციალური მნიშვნელობა არ ექმნებათ კრებაზედ; ამ უკანასკნელთა შორის შტენგელიც არის დანიშნული, როგორც საერთაშორისო უფლებათა კარგად მცოდნე და, მაშასადამე, მიუნსტერისათვის ფრიად საჭირო კაცი ამა თუ იმ საერთაშორისო საგნების გამოსარკვევად კონფერენციის დროსო. კონფერენციის გათავების შემდეგ, პროფესორი შტენგელი ისევ დაუბრუნდა თავისს საყვარელს საგანს და წინანდებურად თავგამოდებით დაუწყო მტკიცება ომის აუცილებლობას ხალხთა ცხოვრებაში. ეხლა მას წერილი დაუბეჭდია ერთს ნემეცურს გაზეთში, რომელშიაც თავიდგან ბოლომდე ის აზრი გაჰყავს, რომ არა სავალდებულო მოსამართლეთა დანიშვნასაც-კი შეუძლიან საქმე არივდარიოს სახელმწიფოთა შორის და დიდი უთანხმოება გამოიწვიოსო. თავისი აზრის დასამტკიცებლად შტენგელი იმასვე იმეორებს, რაც კონფერენციაზე იყო ნათქვამი: დიდი სახელმწიფონი ძალას დაატანენ პატარა სახელმწიფოებს მედიატორულ სამართლით გადასწყდეს მათ შორის ამტყდარი დავა და თუ უკანასკნელებმა ამის უარი განაცხადეს, ყოველ მხრით ლანძღვას დაუწყებენო. ასეთივე თვალით უცქერის შტენგელი შუამდგომლობასაც.

**იტალია.** როგორც გაზეთები ამბობენ, საფრანგეთის ელჩს რომში—ბარერს ნაბრძანები ჰქონია თავისი მთავრობისაგან, როგორმე მოამზადე ნიადაგი, რომ იტალიის მეფე ჰუმბერტო მოვიდეს პარიჟში მსოფლიო გამოფენაზეო. ელჩისათვის უგრძნობინებიათ რომში, რომ ჰუმბერტოს წასვლა პარიჟში ათასგვარ შემთხვევაზედ არის დამოკიდებულიო. როგორც ჰფიქრობენ, ჰუმბერტოს წასვლაზედ მომეტებული გავლენა ექმნება იმას, რომ დარჩება იმ დროს პარიჟში გერმანიის იმპერატორი, თუ არა. იტალიაში ძლიერ ეშინიანთ თურმე, რომ ჰუმბერტო რომ მივიდეს პარიჟში და გერმანიის იმპერატორი-კი არა, ამას ცუდის თვალით შეჰხედვენ იტალიის მოკავშირენიო.

**სერბია.** სერბიიდგან აუწყებენ გაზეთებს, რომ ამ ჟამად სერბიაში თითქმის არავინ არ ლებულობს უცხოეთის გაზეთსაო, რადგან საზღვრებზე სასტიკი ცენზურა არის დანიშნული და არც ერთს უცხოელ გაზეთს არ უშვებსო. ამას გარდა, გაზეთების სიტყვით, რადგან შიგ სერბიაში წინასწარ ცენზურა დაუწესებიათ ყველა გაზეთებზე, ბევრი გაზეთი შეჩერებულა, ასე რომ ეხლა იქ მომეტებულ ნაწილად ოფიციოზური გაზეთები გამოდის თურმე. ამ მოკლე ხანში სკუპშჩინას უნდა მოუწოდოს მთავრობამ. ამბობენ, რომ მთავრობამ დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს მას ის ღონისძიებანი, რომელნიც ხმარებულ იქმნა შეთქმულთა წინააღმდეგო. ეხლანდელ მდგომარეობაში, ადვილი წარმოსადგენიაო, ამბობენ გაზეთები, რომ სკუპშჩინამ მთავრობის ყოველგვარი წინადადება შეიწყნაროსო. მაგრამ, მეორეს მხრით, იმასაც იუწყებიან, რომ ლიბერალები არ გამოცხადდებიან სკუპშჩინაში და არც მონაწილეობას მიიღებენ მთავრობის წინადადების განხილვაშიო.

## ძველი ჩვეულება

(წერილი ს. ბაზალეთიდგან)

არაგვის ხეობაზედ, დუშეთის მაზრაში მდებარეობს სოფელი ბაზალეთი, რომლის მცხოვრებლები თავიანთის ზნე-ჩვეულებით უფრო მთის ხალხს წააგვანან, ვიდრე ბარელებს. მრავალ ჩვეულებათა შორის, ერთი უფრო ღირს-შესანიშნავია.

ამ სოფლის სამხრეთით მაღალს ტყიან გორაკზედ აგებულია ძველად, ან გაუქმებული, პატარა ქვითკირის ეკლესია წმ. ძლევა-მოსილის გიორგის სახელობაზედ. ცოტა მოშორებით, დაბურულს ტყეში, ნიშია აგებული ამავე სახელობაზედ. ძველად ჩვეულებად ჰქონიათ მიწაში დამარხვა ეკლესიის შეწირულის ხატებისა და სხვა-და-სხვა ნივთებისა. ამ ჩვეულების მახედვით აქაურებსაც ნიშთან დაფლული ჰქონდათ ვერცხლით შეჭედილი ძველი ხატები და ვერცხლის აზარფეშა-თასები, რომლის ხსენებასაც მთელი ვგირა დღესასწაულობენ დღესაც.

დიდშაბათს შტატის ეკლესიის ზარის შემწეობით შეგროვილი სოფელი გაემართება წმ. გიორგის ეკლესიისაკენ, წინ შემოსილი მღვდელი მიუძღვით და გალობის მაგიერ განუწყვეტელი ეროვნულ სიმღერებისა და ზარის რეკის *) ხმა ეფინება სოფელს. ეს „პროცესია“, რომელს სახლსაც გვერდით გაუვლის, ის ოჯახი მოვალეა გამოაგზავნოს სანთელ-საკმელი, ერთი ჩარექა ღვინო, ანუ არაყი და ქადა-ნაზუქები თან წასაღებად დღეობაში, რომელსაც „სამწყალობნო“-ს ეძახიან. მღვდელი დიაკვნით, რადგანაც არ უნდათ, რომ საიდუმლო საგანი ყველას გააგებინონ, —მარტონი ამოასვენებენ ხოლმე წმ. გიორგის ნიშთან მიწაში დაკრძალულს ხატებს და სხვა ვერცხლეულს და მიასვენებენ ღამის სათევად მოგროვილს ხალხთან ეკლესიის გალავანში. ამ დღიდგან დაწყებული ვიდრე ბრწყინვალე კვირიაკეს შაბათამდე მღვდელი ყოველ დღე მწირველი უნდა იყოს და ამ შრომისათვის თითოეულ საკვარეულოსაგან რიგ-რიგად ორ-ორ მაურს იღებს. ლიტონია და წირვაც ხალხის თხოვნით აქამომდე წმ. გიორგის ეკლესიაში სრულდებოდა, (დღეს იგი დაყენებულია სიძველისა გამო).

ბრწყინვალე კვირიაკის შაბათ საღამოს ხელმეორედ შეგროვილი ხალხი აქედგან გაემართება აგრეთვე ზარის რეკვითა და სიმღერებით ახლა კვირაცხოვლის ნიშთან, რომელიც იმყოფება ბაზალეთის ტბის მახლობლად, მინდვრის ბოლოში, და რომლის დღეობაც მეორე დღეს არის დანიშნული. წინ მღვდელი მიუძღვით თომს მოციქულის ჯვარით, დიაკვანს ბაირაღი (საეკლესიო დროშა) მიაქვს ყდარუნით ხალხის დასამწყალობნად და მნათეს კიდევ აზარფეშა-თასები ღვინის სასმელად. რადგანაც ამ ნიშის დღეობა განთქმულია მთელს ხეობაში, ახლო მდებარე სოფლებიდგანაც ბევრი ხალხი იკრიბება ამ დღეს. გათენების ჟამს მღვდელი, ანუ სოფლის რჩეული კაცი, დეკანოზად წოდებული, ბაირაყის ყდარუნით ამწყალობნებს ხალხს სათითაოდ შემდეგის სიტყვებით: „კვირა ცხოველო პატიოსანო, შენს მოწყალებას ნუ მოაკლებ (სახელი და გვარი), ამის სახლში მყოფს დიდსა და პატარას; რასაც წყალობას გთხოვდეს, ის წყალობა მიეცი; დაუდე ბარაქა ამისს წლის მო-

*) ზარი ხელით მიაქვთ შტატის ეკლესიიდგან და გზაში ჰრეკავენ.

სავალსა; მრავალს შენს დღესასწაულს მშვიდობით დაესწარი; სადაც შენი სახელი ახსენოს, შენი მფარველი ანგელოზი დაასხმარე; შინ მშვიდობა მიეცი, გარედ—გამარჯვება, მწყალობელ იყავ და მეშველი, კვირია ცხოველო!" „დამწყალობნება"-ს რომ გაათავებს მღვდელი, ამ დროს დაჩოქილი და ქუდმოხდილი ხალხი ერთხმად უპასუხებს: „ამინ"-ს. ჩვეულებრივის სადილის შემდეგ, რომელიც უთუოდ მამა-პაპურის არაჩვეულებრივის სიმღერებით იმკობა ხოლმე, იმართება ჭიდაობა და სხვადასხვა დროს გატარება. შებინდების დროს ხალხი ისევ უკან ბრუნდება წმ. გიორგის ეკლესიასთან იმ წესით, მხოლოდ ახლა სოფლის მეორე მხარეზედ აივლიან. საიდუმლოთვე ყველა ხატები და ნივთები ინახება თავისს ადგილას და ხალხიც იშლება. ამითი თავდება მთელი დღესასწაული.

ორის წლის წინად, სახელდობრ 1897 წ. მარტის თვეში ქურდებს არც ეს ხატები და ვერცხლეული დარჩენოდათ შეუმჩნეველი: რადგანაც დანამდვილებით არ იცოდნენ საიდუმლო ადგილი, გაეტეხათ ეკლესია, შიგ ეთხარათ მიწა ერთის ადლის სიღრმეზედ და რა კი იქ ვერაფერი ეპოვნათ თავი დაენებებინათ. აწ, ამ შემთხვევით შეშინებულმა ადგილობრივმა მღვდელმა ბლაღოჩინისა და ბოქაულის დასწრებით, ამოთხარა მიწაში დაფლული ხატები და ჩაასვენა შტატის ეკლესიაში, თუმცა ხალხი დიდ უარზედ იდგა და შეურაცხებაც მიაყენეს მღვდელს ამ მოქმედებისათვის. ხანჯალ-ამოღებულები შეუცვივდნენ ეკლესიაში და ლუკმა-ლუკმა აკუწვას უქადდნენ, რომ დროზედ არ მიშველებოდნენ.

ვერცხლით შეჭედილი ხატები წმ. გიორგისა, ბერ-წმ. გიორგისა, თომა მოციქულისა ჯვარი და მთავარ ანგელოზისა მთლად დამპალა მიწაში დიდი ხნის ყოფნით. დიდრონი ვერცხლის ლურსმები, რომლითაც ვერცხლი მიჭედილია ფიცარზედ, ამოცვივნულა და დაკარგულა. უკანასკნელი ხატი კიდევ შუაზედ არის გადატეხილი.

როდესაც სოფელი თხოვნით ვერას გახდა მღვდელთან, რომ ხატები უკანვე დაებრუნებინა (როდი ფიქრობენ, რომ მიწაში ფუჭდება), სხვა საშუალებას მიჰმართეს.

ამ სოფლად სალოცავად სამ წელიწადში ერთხელ დაიარებოდა ს. პატარძეულის მცხოვრებელი ა. პ., რომელიც ეხლაც მაისის პირველ რიცხვებიდგან აქამომდე აქ იმყოფებოდა. როგორც შემდეგში გამოჩნდა, ხალხის რჩევით გავარდა ქადაგად და წმ. გიორგის ეკლესიას შეეკედლა. მან ეკლესიის გალავანში სრული ორი თვე დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში ხალხი განუწყვეტლივ უზიდავდა ყოველ დღიურ საზრდოს თავისს „მქადაგებელს". აქედგან დაუწყო სოფელს ყასიდად ქადაგება, რომ მე წმ. გიორგის მონა ვარ, მან მიბრძანა ეკლესიის გალავანი შეაკეთოთ და ხატები უკანვე დაუბრუნოთ, თორემ სეტყვასა და მრავალს უბედურებას მოგივლენთო. სოფელი დაფაცურდა და ფიცხლავ შეაკეთა გალავანი, ამითი უნდოდათ მღვდელი ესიამოვნებინათ და ეშმაკობით დაეძლიათ, რომ ხატები უკანვე დაებრუნებინა მაგრამ მღვდელმა ამის მაგივრად ბოქაულს აცნობა „მქადაგებლის" ვინაობა და მოქმედება, რომელიც მაშინათვე „ეტაპით" გამოისტუმრეს ბაზალეთიდგან.

თუმცა ეს ხატები ამ ჟამად შტატის ეკლესიაში იმყოფება, მაგრამ მამა-პაპურს ჩვეულებას დღესაც ასრულებენ. ხატებს ახლა აქედგან წაასვენებენ ხოლმე დანიშნულს ადგილას.

დ. მოლოდინაშვილი.

## დამაკვირდი

მე ქართველი ვარ, გარნა ერთნაირად ვუყვარობ ქართველსაც და უცხოქვეყნელსაც.

ლასურიძე

* * *

თვალნი მიიღებენ ბრწყინვალებასა ნათლისასა პზურისაგან და მზისა, ხოლო სული სწავლათაგან კეთილთა.

საეკლ. მუზ. № 153

* * *

რაოდენიცა ვინ უმეტესისა სწავლისა და მეცნიერებისა ზიარ იქმნას, სამ წილ და მრავალ წილ უმეტესისა და უფროსისა გული უთქვამნ და განძღომა არა არს.

ეფრემ მცირე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, ჩინეთის ახალგაზრდა იმპერატორმა ამას წინად მოიწადინა რეფორმების შემოღება და ჩინეთის იმ გვარად მოწყობა, როგორც ევროპის სახელმწიფონი არიან მოწყობილი. მაგრამ იმის განზრახვას წინ აღუდგნენ ძველის წეს-წყობილების მომხრენი, რომელთაც არამც თუ ამ აზრის განხორციელების ნება არ მისცეს, არამედ თვით იმპერატორსაც ხელიდგან გამოაცალეს მართვა-გამგეობის საქმე. ახალგაზრდა იმპერატორის რეფორმათაგან მხოლოდ ერთი იქმნა განხორციელებული, სახელდობრ, დაარსებულ იქმნა პეკინში უნივერსიტეტი. მთავრობამ ამ უნივერსიტეტს დაუთმო საუკეთესო შენობა, რომელიც წინად პრინცესსა ტაო-კოანგს ეკუთვნოდა. შენობის გადაკეთებას მოუნდა მხოლოდ 350,000 ფრანკი. ამ შენობაში მოთავსებულია აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და მრავალი დარბაზი. უნივერსიტეტის პერსონალი შესდგება ორის პრეზიდენტის, 8 უცხო-ქვეყნელ პროფესორის, 8 ჩინელ პროფესორის, 16 ასისტენტის, 8 კომისარის, 32 მდივნის დ 100 სხვა წვრილმან მოხელისა და მსახურისაგან. მთავარი ზედამხედველობა უნივერსიტეტისა მინდობილი აქვს მინისტრს სუნ-ჩინ-ტანგს. სტუდენტი სულ 215-ია. სხვა და სხვა საგნებს გარდა, სტუდენტები ახალ ენებსაც სწავლობენ; 100 კაცი ინგლისურსა სწავლობს, დანარჩენნი—ზოგი რუსულს, ზოგი ფრანგულს, ზოგი კიდევ ნემეცურს ან იაპონურს. სტუდენტებს ცალკე სადგომი აქვთ დათმობილი უსასყიდლოთ; ხუთ-ხუთი ან ექვს-ექვსი კაცი ცხოვრობს ერთად. ოპიუმის ხმარება სასტიკად აქვთ აღკრძალული სტუდენტებს, პაპიროზის მოწევა-კი შეუძლიანთ. ბევრი ძალიან ხნიერი სტუდენტია, ოცდა-ათ და ორმოც წელიწადს გარდაცილებული. რამდენსამე სტუდენტს ცოლი და კარგა მოზრდილი შვილებიც-კი ჰყავს.

* * *

ჩინეთში მრეცხაობას ქალები არ მისდევენ. ეს ხელობა კაცების ხელობად ითვლება. ჩვეულებრივ ყველგან ისეა მიღებული, რომ როდესაც მრეცხავს დაიბარებთ და სარეცხს ჩააბარებთ, მრეცხავი დასთვლის სარეცხს, გაიგებს რამდენია, შემდეგ შეჰკვევს და წაიღებს გასარეცხად. ჩინეთში ასე არ იქცევიან, თუ სარეცხი უცხო-ქვეყნელისაა. ჩინელი მრეცხავი, სარეცხის დათვლის ნაცვლად იღებს უბიდგან კალამს, საწერელს და ქაღალდს; სწერავს ამ ქაღალდზედ რაღაცას და აძლევს სარეცხის პატრონს. უცხო ქვეყნელსა ჰგონია, რომ ამ ქაღალდზედ ამ მრეცხავის გვარია, ან კიდევ იმის ადრესი; ნამდვილად-კი არც ერთია და არც მეორე. სხვათა შორის ერთს მდიდარს ამერიკელს ჩინეთში ერთი კარგი მეგობარი ჩინელი ჰყოლია. ერთხელ მრეცხავისაგან მიღებული ბარათი ამოუღია და ამ თავისს მეგობრისათვის წაუკითხინებია. ბარათში შემდეგი ყოფილა ჩაწერილი: „ეს სარეცხი იმ ბატონისაა, რომელიც ძალიანა ჰგავს სულელ ჩხი-უნგსა და რომელსაც ცხვირი ღორის დინგს მიუგავს". რასაკვირველია, ამერიკელს ძალიან სწყენია ესა და სარეცხი მეორედ სხვა კაცისთვის მიუცია. ამ ახალ მრეცხავს თავისს ბარათში ჩაუწერია: „ეს სარეცხი ამა და ამ ბატონისაა, რომელიც ღმერთსა ჰგავსო", და იქვე ჩაუწერია იმ ღმერთის სახელიც, რომელსაც ჩინელის აზრით ამერიკელი ჰგავს. რამდენისამე დღის შემდეგ ამერიკელს პეკინის ერთ ქუჩაზედ გაუსეირნია. ერთ დუქანში მეტად მახინჯი, უშნო და ულაზათო ქანდაკება დაუნახავს. ეს ქანდაკება ნამდვილ ჯოჯოსა ჰგვანდა თურმე. ამერიკელს უკითხნია, ვისი სახეა ესაო?—ამა და ამ ღმერთისაო, უთქვამთ და ის ღმერთი დაუსახელებიათ, რომელსაც ჩინელმა ამერიკელი მიამგზავსა. ამ დღიდგან ამერიკელს სარეცხი ჩინელისთვის აღარ მიუცია. ამისათვის განსაკუთრებული მრეცხავი დაუბარებია ევროპიდგან.

* * *

ფრეიბურგის საჰიგიენო ინსტიტუტის მკურნალებს გამოუკვლევიათ, რომ ქუჩის მორწყვა მავნებელი და მაზარალებელია. ამ მკურნალების აზრით მორწყულ ქუჩაში ორჯელ მეტი სხვა და სხვა მიკრობია, ვიდრე მოურწყავში; წყალი ძალიან უწყობს თურმე ხელს მიკრობების და ბაქტერიების გამრავლებას. მკურნალებს აუღიათ ერთი გრამი ქუჩის მტვერი, რომელსაც ოთხი დღე წყალი არ მოჰხვედრია და აღმოუჩენიათ შიგ 1,893,000-მდე მიკრობი. შემდეგ აუღიათ ერთი გრამივე მტვერი ახალ მორწყულ ქუჩიდგან და იქ კი 2,211,590 მიკრობამდე უნახავთ. მაგრამ მორწყვას კარგი თვისებაცა ჰქონია. როდესაც ქუჩა მოურწყავია, მტვერს მიკრობი ჰაერში აქვს, მაშასადამე კაცს ამ მიკრობის ჩაყლაპვა ადვილად შეუძლიან, ხოლო, როდესაც მორწყულია, მიკრობი მიწაზედ არის დაკრული და იმის ჩაყლაპვა კაცს არ შეუძლიან.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აგვისტო.

**რენნი.** კრება დაიწყო 6 საათსა და 25 წუთზედ. დემანჟიმ მოითხოვა, რადგანაც ექიმები იმედს იძლევიან, ლაბორი ორშაბათამდე მორჩებაო, რომ კრება ამ დღემდე გადასდეთო.

ლაბორიმ ღამე უკეთ გაატარა.

**რენნი.** სამხედრო სასამართლომ ერთხმად სცნო, რომ არავითარი მიზეზი არ არის კრება გადაიდოს.

იუსტიციის მინისტრად ნამყოფმა გერენმა იგივე განაცხადა, რაც საკასაციო პალატის წინაშე. იმანა სთქვა, მერსიემ მითხრა 1894 წლის გასულს, დარწმუნებული ვარ, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო. მერსიემ ამ საქმის ყოველივე ვითარება მინისტრთა საბჭოს აუწყა, რომელმაც ერთხმად ნება დართო საჩივარი აღძრას. მარტო ჰანოტამ წამოაყენა ამის წინააღმდეგ სადიპლომატო მოსაზრებანი. გერენმა დაუმატა, რომ ამ საქმის გამო მეტი არაფერი ვიციო.

გერენმა სთქვა, რომ საიდუმლო საბუთის ქაღალდები მხოლოდ ზოლას პროცესის დროს გაეცკანიო.

გერენის შემდეგ გამოხმობილმა ლებონმა სთქვა, რომ დარწმუნებული ვიყავი დრეიფუსის დამნაშავეობას, ამიტომ საჭიროდ ვცანი იმ გასაფრთხილებელი ზომების მიღება, რომელიც მივიღე დრეიფუსის წინააღმდეგ. ეს ზომები სიფრთხილისათვის იქმნა მიღებული, მაგრამ შემდეგ სასტიკ ზომებად გარდაიქცა, როდესაც შევიტყე, რომ ერთი ამერიკული გემი კუნძულების წინ 24 საათი იდგაო.

სასამართლოს მდივანმა წაიკითხა უკანასკნელი მოხსენება მინისტრისა დრეიფუსის მდგომარეობისა და ცხოვრების შესახებ ეშმაკის კუნძულზედ. ამ მოხსნენებამ დიდი გავლენა იქონია დამსწრეებზედ. ლებონმა შენიშნა, რომ მოხსენება მიმხრობით არის შედგენილიო დ დაუმატა, რომ არაფერი ვიცოდი დრეიფუსის ავადმყოფობის შესახებაო. თავმჯდომარემ ჰკითხა დრეიფუსს, სათქმელი ხომ არაფერი გაქვთო. დრეიფუსმა მიუგო: მე არა მსურს ვილაპარაკო იმ ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვის შესახებ, რომელიც ფრანგს შეეძლო მიეყენებინა უდანაშაულოდ დასჯილისათვის (აღელვებაა). მე აქ იმიტომ ვარ, რომ ჩემი პატიოსნება დავიცვა და ამიტომ ჩემ ზნეობრივ ტანჯვებზედ არ ვილაპარაკებო."

გამოიხმეს ქ. ანრი. ქ. ანრი შავერში იყო. მოწმემ განაცხადა, 1894 წლის სექტემბრის თვის გასულს ჩემმა ქმარმა მითხრა, რომ ერთი მეტად საყურადღებო და დიდ-მნიშვნელოვანი ქაღალდი გადმომცესო. ჩემმა ქმარმა არ იცოდა, ვინ იყო ბორდეროს ავტორი. მოწმეს ჰკითხეს იმ სიტყვების შესახებ, რომელიც იმისმა ქმარმა სიკვდილის წინ წარმოსთქვა,—„დიდი უბედურებაა, როდესაც ამ გვარს საზიზღარს კაცებს შეხვდები"-ო. ქ-ნმა ანრიმ განაცხადა, ჩემ ქმარს ეგ სიტყვები არ უთქვამს, იმან მხოლოდ ესა სთქვა: „შენ ხომ გესმის, ვისთვისაც ვმოქმედებდი"-ო. ის არავის არ გულისხმობდა, ამ სიტყვებს როცა ამბობდა; მხედველობაში მთელი საფრანგეთი ჰქონდაო. ქ-ნმა ანრიმ შემდეგ სთქვა, ანრიმ სიყალბე ჩაიდინა პიკარის ხრიკების გამო, რათა გადაერჩინა ჯარი, რომელსაც უსინიდისო მოქმედებით იმისმა მტრებმა ჩირქი მოსცხესო.

გამოიხმეს გენერალი როჟე. როჟემ სთქვა, ბიუროს საანგარიშო წიგნებიდგან არა სჩანს, რომ ესტერგაზისთვის ფული მიეცეთ. ტყუილია, ვითომ ესტერგაზის დაეწეროს ბორდერო სანდგერის ბრძანებითაო. სანდგერს არ შეეძლო ასეთი ბრძანება მოეხდინა; ამასთან სანდგერმა ყველაზედ ბოლოს შეიტყო ბორდეროს არსებობა. ტყუილია აგრეთვე ის, ვითომ ბორდერო საელჩოს შვეიცარს მოეცეს. ბიუროს არასოდეს არა ჰქონია საქმე შვეიცარსთან. მოწმე ამტკიცებს შეუძლებლობას ესტერგაზისა და ანრის კავშირისას. ანრი თვით არ მოიტანდა ბიუროში ბორდეროს; მაშინ თვით იმის წინააღმდეგვე აღეძრებოდათ ეჭვიო. მოწმემ შემდეგ წაიკითხა ერთი ადგილი აგენტების ა. და ბ. მიერ ურთ-ერთ შორის მიწერილ წერილიდგან და სთქვა, რომ ამ წერილში დრეიფუსის სახელს ორჯელ იმეორებენ, ესტერგაზის სახელის ხსენება-კი სულაც არ არისო. არც ერთი საბუთის ქაღალდი არ მიეწერების იმას, petit bleu-ს გარდა, რომელიც პიკარმა აღმოაჩინა. როჟემ სთქვა, რომ საბუთის ქაღალდი, რომელშიაც არის სიტყვები—„ეს არამზადა დ," ძლიერ მაფიქრებდა, რადგან არ ვიცოდი, ვინ იგულისხმებოდა ამ ერთ ასოშიო. ის ლაპარაკობდა ამას და დრეიფუსს უყურებდა. დრეიფუსმა მხრები მაღლა აიწია. ძლიერ აღელვებულის ხმით როჟემ წარმოსთქვა, არ მესმისო ჩემს ცნობებზედ უფრო უპირატესობა რათ მისცეს იმათ ცნობებს, რომელთათვისაც ხელ-საყრელი იყო ეს ღალატიო. გენერალს ცრემლები გადმოსდიოდა თვალებიდგან. იმან განაგრძო შემდეგ ბორდეროს გარჩევა და სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მხოლოდ ერთმა დრეიფუსმა იცოდა იმაში აღნუსხული საბუთის ქაღალდებიო. ესტერგაზს არაფრის ცოდნა არ შეეძლოო. მოწმემ დაიჟინა, რომ პიკარი ხმარობდა ყალბ საშუალებას, რათა დრეიფუსის ნაცვლად სხვა გამოეყვანა დამნაშავედაო. იმან დიდძალი ფული დახარჯა ამისათვის, რომელიც სანდგერის მიერ იყო დაზოგვილიო. როჟემ აგრეთვე უსაყვედურა პიკარს, რომ იმან დამალა საბუთის ქაღალდი, რომელიც დრეიფუსს ამტყუნებდაო. მოწმე დაიღალა და ხვალ განაგრძობს ჩვენების მიცემას. თავმჯდომარის კითხვაზე, დრეიფუსმა წამოიძახა: „ეს საშინელებაა, რომ ამ დღეებში მთელ საათობით გულსა და სულს მიხუთვენ, ნაწილ ნაწილ მგლეჯენ, მე-კი შეძლება არ მაქვს პასუხი გავსცე. ეს საზარელი ტანჯვაა, რომელსაც აყენებენ უდანაშაულო პატიოსან ჯარისკაცსო. (დიდი მღელვარებაა). სხდომა სახვალიოთ გადაიდვა. შეამცნიეს, რომ დრეიფუსი ძლიერ გაფითრებული იყო და განრისხებული.

**რენნი.** დამნაშავის ძებნამ პოლიციის მხრით დღეს ტყუილა ჩაიარა, პოლიციის რამდენიმე ინსპექტორი დეპეშით დაბარებულ იქმნა პარიჟიდგან. სასამართლოდგან ყველანი უინცინდენტოდ წავიდ-წამოვიდნენ.

5 აგვისტო.

**პარიჟი.** გამოვიდა რა გარეშე საქმეთა სამინისტროდგან, ლაზი წავიდა გერენთან, რომელთანაც ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა. იქიდგან გამოსვლის შემდეგ ლაზიმ განაცხადა, რომ ჩემმა მისიამ უნაყოფოდ ჩაიარა: გერენსა და იმის მეგობრებს, როგორც ეტყობათ, გადაუწყვეტიათ წინააღმდეგობა გასწიონ.

**პარიჟი.** დეპუტატმა ლაზიმ გერენი დღეს დილის 2 საათზედ ჰნახა და იქიდგან გამოსვლისას განაცხადა, რომ გერენმა და იმის ამხანაგებმა გადაწყვიტეს უკანასკნელ საშუალებამდე გამაგრდნენო. სტამბის 8 მუშა, რომელნიც გერენთან ერთად იქმნენ ჩაკეტილი, გამოიყვანეს იქიდგან. ხვალ ჩვენებას ჩამოართმევენ და თუ დაამტკიცეს, რომ გერენთან სამუშაოდ იყვნენ, მაშინ გაანთავისუფლებენ. როგორც ისმის, დღეს იერიშს მიიტანენ გერენზედ.